01/09/2026

MES 6 26 0001136732

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 13:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (I, II საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (III, IV, საკითხი)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია (I, II საკითხები)
სხდომის მდივანი: ბაქარ ბერეკაშვილი (III, IV, საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 17 აგვისტოს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;
3. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
6. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. **ნინო მინდიაშვილი-** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავჯდომარის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია:

სახოკია გიორგი - აკადემიის რექტორი;
მაკასარაშვილი იმედა - პრორექტორი;
ჭიჭიკაშვილი იოსებ - პოლიციის სკოლის უფროსი;
ჯანიბეგაშვილი ნათია - განვითარების, კვლევის, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
გაბიჩვაძე შორენა - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
ჩუთლაშვილი გიორგი - ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი;
კობახიძე თამთა - ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
კალანდაძე ქეთევან - პოლიციის სკოლის უფროსის მოადგილე.

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ჯული კაპანაძე - სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტ - საქართველოს მენეჯერი;
ნინო ფანცულაია - სან დიეგოს სახელმწიფო უნივესიტეტ - საქართველოს აკადემიურ საქმეთა დირექტორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
მილან პოლ (Milan Pol) - (I საკითხი)
მარიამ დარბაიძე - (I საკითხი)
ვახტანგი ბეროშვილი - (I საკითხი)
გიორგი მახარობლიშვილი - (I საკითხი)
გიორგი მერაბიშვილი - (I საკითხი)

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 ს-თზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომას I და II საკითხის განხილვის დროს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო III და IV საკითხები განხილვის დროს - თავმჯდომარის მოადგილემ, ვასილ გონაშვილმა.
„ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, I და II საკითხის განხილვის საბჭოს მდივნის ფუნქციები შეასრულა ზურაბ ქავთარიამ, ხოლო III და IV საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა საბჭოს წევრმა - ბაქარ ბერეკაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა, კერძოდ, საბჭოს დამატებით განეხილა შემდეგი საკითხები:

- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობები დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ავტორიზაციის საკითხი;
2. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების)

წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, მილან პოლმა განმარტა, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია არ არის ახალი დაწესებულება. გარკვეული პერიოდის წინ ის მოღვაწეობდა, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და მიმდინარე ეტაპზე, საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, დაწესებულება კვლავ უბრუნდება უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას განზრახული აქვს, რომ განახორციელოს ერთი საბაკალავრო პროგრამა, კერძოდ, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი განმარტებით, სამი წლის მანძილზე დაგეგმილია 600 სტუდენტის მიღება, რაც გულისხმობს ერთი აკადემიური წლის მანძილზე 200 სტუდენტის ჩარიცხვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულება ამისთვის კარგად არის მომზადებული, მას გააჩნია მკაფიო ხედვა, მისია და მიზნები. ამ ეტაპზე, დაწესებულებას ჰყავს სრულ განაკვეთზე დასაქმებული 6 აკადემიური პერსონალი, გარკვეული რაოდენობის მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და სამომავლოდ გეგმავს აღნიშნული რაოდენობების გაზრდას. ბატონი მილანის განმარტებით, დაწესებულებას აქვს ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა, ობიექტები და სამომავლოდ დაგეგმილია აღნიშნულის განვითარება და გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულება შეაფასა ავტორიზაციის 7 სტანდარტის მიხედვით და ჯგუფი შეთანხმდა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს შვიდივე სტანდარტის მოთხოვნებს. მილან პოლმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებას. ასევე გაიცა გარკვეული რაოდენობის რჩევები, რომლებიც ეხება ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვას, ხარისხის უზრუნველყოფას, ადამიანურ რესურსებსა და კვლევას. საბოლოოდ, ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის შთაბეჭდილება და შეფასება არის პოზიტიური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი სახოკიამ ინსტიტუციის სახელით მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის. რაც შეეხება ავტორიზაციის პროცესს, მისი განმარტებით, დაწესებულებას მთავრობის განკარგულებით მიენიჭა უფლება, რომ მიემართა საბჭოსთვის ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ბატონმა გიორგიმ განმარტა, რომ ინსტიტუციამ დიდი გზა გაიარა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დაემატა დეტალური სფერო და განისაზღვრა შესაბამისი კოდი 1032, რომელიც აქამდე არ არსებობდა და სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებებზე არის მორგებული და დარგობრივი მახასიათებელიც, უშუალოდ მათი ჩართულობით შემუშავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ მთავრობის მხარდაჭერაც დასახული მიზნების მისაღწევად. ინსტიტუციამ უკვე განახორციელა პოლიციის შესახებ კანონში ცვლილება და ის პროცესი, რომელიც სტუდენტმა დაწესებულებაში უნდა გაიაროს, დამაგრდა ასევე პოლიციის კანონში, კერძოდ, სტუდენტს ეძლევა საცხოვრებელი დაწესებულების ტერიტორიაზე, ისევე როგორც კვება, ფორმით უზრუნველყოფა და სხვადასხვა სახის სოციალური თუ სასწავლო

„ბენეფიტები“. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების კვოტა არის 600 სტუდენტი, ყოველწლიურად კი 200 სტუდენტი. ინსტიტუციის წარმომადგენლის განმარტებით, პოლიციას ეს მისცემს საშუალებას, რომ სამი წლის შემდგომ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალურ დონეზე მომზადებული სტუდენტები მიიღოს. გიორგი სახოკიამ ასევე აღნიშნა, რომ სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, დაწესებულების სტუდენტები პირველივე კურსიდან იქნებიან პოლიციელები, რაც საშუალებას მოგვცემს, როგორც დამსახურების ზრდა ისე საპოლიციო წოდების ზრდა დაიწყოს სტუდენტების აკადემიაში მიღების დღიდან და შემდეგ მათი განაწილებაც მოხდება შიდა გადანაწილებით და არა გარე ღია კონკურსით. რაც შეეხება ავტორიზაციის დასკვნაში ასახულ რჩევებს, მისი თქმით, დაწესებულებისთვის ისინი მისაღებია და სწავლის დაწყების შემდგომ, 2027 წლის სექტემბერში, ამ ნაწილს პრაქტიკაში გაითვალისწინებენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნისა და შეფასებების საერთო სურათი იძლევა იმის საფუძველს, რომ ავტორიზაცია იქნება უპირობო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა რამდენად საკმარისად მიაჩნდათ მათ პროფესორთა ეს რაოდენობა, გამომდინარე იქედან რომ დაწესებულებაში არის 6 აკადემიური პერსონალი, აქედან 5 აფილირებული და ასევე მოწვეული პერსონალი.
მილან პოლის განმარტებით, ამ ეტაპზე აღნიშნული რაოდენობა საკმარისია, თუ გავითვალისწინებთ დაწესებულების წინა სამოქმედო ფაზას. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოისმინა დაწესებულების სამომავლო გეგმები ავტორიზაციის შემთხვევაში აკადემიური პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, არსებული რაოდენობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია იმის გათვალისწინებით, რომ დააწესებულებას ასევე ჰყავს საკმაო რაოდენობის მოწვეული პერსონალი.
ექსპერტ მარიამ დარბაიძის განმარტებით, დაწესებულებისა და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სჭირდება კონკრეტული მომზადება, ესენი არიან პოლიციის თანამშრომლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და პროგრამას კონკრეტული უნარების მქონე ინსტრუქტორების არსებობა სჭირდება. შესაბამისად, ეს ინსტრუქტორები ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს ახალი კონკურსის გამოცხადებასაც, კონკრეტული შტატის მოთხოვნას შინაგან საქმეთა სამინისტროს დონეზე და ეს ყველაფერი გათვლილია კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ნაწილში. მისი თქმით, დაწესებულება ყოველ წელს იღებს მხოლოდ 200 სტუდენტს და შესაბამისად მას ყოველ წელს აქვს გათვლილი შესაბამისი პერსონალის რაოდენობა. როგორც მილან პოლმა დაადასტურა, პროგრამის განხორციელებას პერსონალის ნაწილში, როგორც სწავლების, ისევე კვლევის დონეზე, დაწესებულებას გათვლილი აქვს და არ ემუქრება არაფერი.
დაწესებულების წარმომადგენლმა პროფესორების რაოდენობასთან დაკავშირებით განმარტა რომ აღნიშნული არის დაწესებულების სასტარტო პოზიცია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პირველი სტუდენტები ეყოლება 2027 წლის სექტემბერში, შესაბამისად ამ ეტაპზე სრულად დატვირთვას დაწესებულება მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, თუმცა სწავლის დაწყების შემდეგ აღნიშნული რაოდენობა გაიზრდება. ამას გარდა, მისი თქმით, პროგრამა, 1032 კოდით, თავის თავში მოიცავს მრავალ სხვა ისეთ სამეცადინოს, სადაც ინსტრუქტორები უნდა იყვნენ ჩართლები, ამ ნაწილში ინსტრუქტორების რაოდენობა კი თითქმის 70 არის აკადემიაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ დაწესებულებას მისცა რჩევა მესამე სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა გარკვეულ სასწავლო კურსებზე წინაპირობები ყოფილიყო დაზუსტებული. ასევე მიეთითოს ბოლო წლებში გამოცემული ლიტერატურა და დაზუსტდეს ზოგიერთი საგნის სახელწოდება, მაგალითად, კრიმინალისტიკას არ აქვს წინაპირობა, რაც, მისი აზრით, აუცილებელია. მსგავსად არის

ნაჩვენები ადამიანის ძირითადი უფლებები, რაზეც თითქმის ყველა დაწესებულებაში წინაპირობად განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ლიტერატურასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კრიმინალისტიკაში გვხვდება 2015-2017 წლის ლიტერატურა, როცა არსებობს 2021 და შემდგომი წლების გამოცემებიც. იგივე კრიმინოლოგიასთან დაკავშირებით, არ არის მითითებული წინაპირობა. საბჭოს თავმჯდომარის აზრით, თუ ამ საკითხებს დაწესებულება გაითვალისწინებს, პროგრამისთვის უკეთესი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა თამარ გამსახურდიამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა მათ მიერ იყო თუ არა შეფასებული სისტემურ დონეზე თავსებადია თუ არა მოდელი, სადაც სტუდენტის სტატუსი, აკადემიური შეფასება და დასაქმება სტრუქტურულად არ არის გამიჯნული სამინისტროსგან, სტანდარტი 1, 2 და 5. დაწესებულების დამოუკიდებელი მისია, აკადემიური საბჭოს რეალური უფლებამოსილება, სტუდენტის თავისუფალი არჩევის უფლება. თუ თითოეული სტანდარტი შეფასდა ისე, რომ ეს ურთიერთკავშირი ყურადღების საგანი არ გამხდარა.

მილან პოლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა თითოეული სტანდარტი დამოუკიდებლად, თუმცა ისინი შეეცადნენ აღმოეჩინათ ურთიერთკავშირი უშუალოდ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები დასაქმდებიან პოლიციაში და ჯგუფმა ასევე სცადა ამ ურთიერთკავშირის იდენტიფიცირებაც.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა, თამთა კობახიძემ განმარტა, რომ სწავლებისა და შეფასების პროცესს აკადემია დამოუკიდებლად განახორციელებს, აკადემიური პერსონალისა და პოლიციის სკოლის ქუდქვეშ. შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც დაწესებულების მხარდამჭერი ჩართულია სტუდენტების მიღების, დასაქმების, პროგრამის პერიოდული შეფასებისა და სხვა მხარდაჭერის ნაწილში. თამთა კობახიძის თქმით, სწავლებისა და შეფასების პროცესი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, სრულიად აკადემიაში განხორციელდება. მან აღნიშნა, რომ სტრუქტურასთან მიმართებით დაწესებულების წესდება დამოუკიდებელია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და დაცულია ბალანსი.

საბჭოს წევრმა ნინო მინდიაშვილმა რჩევა მისცა დაწესებულებას. მისი განმარტებით, სტრატეგიულადაც მნიშვნელოვანია რომ პოლიციის აკადემია არსებობდეს სახელმწიფოში, უბრალოდ, მისი აზრით, დასკვნა ძალიან კეთილგანწყობილად არის დაწერილი და ზოგიერთი რჩევა შესაძლებელია რეკომენდაციაშიც ყოფილიყო გატანილი, კერძოდ, მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებული მოსაზრებები. მისი თქმით, თქმით, ყველა რჩევა არის ღირებული და მან მიმართა დაწესებულებას, რომ სამომავლოდ ეს რჩევები გაითვალისწინონ.

თამთა კობახიძის განმარტებით, აკადემია ყველა რჩევას გაითვალისწინებს, რათა გააუმჯობესოს სწავლებისა და კვლევის პროცესი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის. თუმცა, მისი თქმით, იმის გათვალისწინებით რომ დაწესებულება საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს, მეექვსე სტანდარტთან მიმართებით, აკადემიამ ძირითადად აუცილებელი და არსებითი დოკუმენტაცია, პროცესები და პროცედურები შეიმუშავა, კვლევითი მიმართულებებიც სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებულია. საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ეს არის პროგრამა მინიმუმი და ასევე სტანდარტების დამაკმაყოფილებლად აუცილებელი მინიმუმი რაც დაწესებულებას უნდა გაეკეთებინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:37
დასრულების დრო: 12:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიისათვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას (ს/კ: 209467628) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - კოლეჯი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

დაწესებულებას დაევალა, ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 17 აგვისტოს.

მეორე საკითხი: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ქეთევან ინანაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი საკითხი ეხება სან დიეგოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის ავტორიზაციას და ეს საკითხი საბჭომ უნდა განიხილოს საქართველოს კანონმდებლობისგან დადგენილი განსხვავებული, სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში. კერძოდ, აღნიშნული რეჟიმის საფუძველს წარმოადგენს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა არის უფლებამოსილი, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განხორციელებული პროგრამისთვის განსაზღვროს განხორციელების, ჩარიცხვის, დაფინანსების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და აღიარების საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები. ამავე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული პროგრამები ითვლება აკრედიტებულად, იმ ვადით, რა ვადითაც ისინი აღიარებული და აკრედიტებულია ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი საფუძველის შესაბამისად, მიღებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო, ხოლო ავტორიზაციის ვადა განისაზღვრება 5 წლის ვადით. ასევე, ბოლოს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა 2022 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 21 აგვისტოდან 5 წლის ვადით და შესაბამისად, მოქმედი ავტორიზაციის ვადა იწურება 2026 წლის 21 აგვისტოს.

ასევე, დღეის მდგომარეობით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით ახორციელებს პროგრამებს, ესენია: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან „კომპიუტერული მეცნიერების" პროგრამა, ასევე სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან „კომპიუტერული ინჟინერიის" პროგრამა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან „სამოქალაქო ინჟინერიის" პროგრამა. ასევე, ცენტრისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურებულია, რომ აღნიშნულ პროგრამებს მინიჭებული აქვთ WSCUC აკრედიტაცია. ეს ორგანიზაცია არის ამერიკაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო, რომელიც ახორციელებს პროგრამების დარგობრივ აკრედიტაციებს. ნახსენები სამი პროგრამა აკრედიტებულია 2026 წლის 31 ივლისიდან 10 წლის ვადით, შესაბამისად 2036 წლის 31 ივლისამდე.

აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლის საფუძველზე, ეს პროგრამები საქართველოში ასევე ჩაითვლება აკრედიტებულად 10 წლის ვადით. ცენტრმა ეს ინფორმაცია ცნობის სახით უკვე მიაწოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილია საქართველოს მთავრობასა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2023 წლის 19 ივლისს გაფორმებული ახალი საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში არის 2027 წლის 30 ივნისამდე და ეს ხელშეკრულება არეგულირებს პროგრამების განხორციელების, დაფინანსების და თანამშრომლობის პირობებს. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2027 წლის 30 ივნისამდე. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო განიხილავს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში, მთავრობის №20 დადგენილების და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჯულიეტა კაპანაძემ განმარტა, რომ 2023 წელს ახალი ხელშეკრულება გაფორმდა მთავრობასა და სან დიეგოს უნივერსიტეტს შორის და დაწესებულებამ კიდევ ერთი კოჰორტი დაამატა. მისი თქმით, მთავრობის მხრიდან მოთხოვნა იყო, რომ დაწესებულებას ჰყოლოდა მინიმუმ 90 სტუდენტი. 2023 წელს ჩაირიცხა 85

სტუდენტი, მანამდე 523 სტუდენტმა დაასტულა სან დიეგოს უნივერსიტეტი საქართველოში. მიმდინარე მდგომარეობით კი დაწესებულებას ჰყავს 80 სტუდენტი. ჯულიეტა კაპანაძის განმარტებით, დაწესებულებაში არის სამი პროგრამა, რომელიც ერთობლივად ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა“, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან „კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან „სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამა“. გარდა ამისა სან დიეგოს უნივერსიტეტი ეხმარება პარტნიორ უნივერსიტეტებს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაში. რამდენიმე პროგრამამ მოიპოვა აბეტ აკრედიტაცია, კერძოდ თსუ-ში ორი პროგრამაა აბეტ აკრედიტებული. ქიმიის პროგრამა არის ეისიესის მიერ სერთიფიცირებული. ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთი პროგრამაა აბეტ აკრედიტებული, ისევე როგორც ილიას უნივერსიტეტში. ჯულიეტა კაპანაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება, ვინაიდან პარტნიორ უნივერსიტეტებს სურვილი აქვთ, რომ კიდევ დამატებით იქნას აკრედიტებული აბეტის მიერ სხვა პროგრამები. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს, რომ 2027 წლის ზაფხულში ტექნიკურ უნივერსიტეტს დამატებით 4 პროგრამა ექნება კიდევ აკრედიტებული და ილიას უნივერსიტეტს 3 პროგრამა. მისი განმარტებით, ყოველწლიური მონიტორინგის მექანიზმი, რაც ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან არის საბჭოს შეხვედრები, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება. ასევე, სან დიეგოს უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება წარმოადგინოს განახლებული ინფორმაცია როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, შესახებ ასევე აბეტ აკრედიტაციის მიმართულებით. დაწესებულებას ასევე დამატებით აქვს სხვა აქტივობები, როგორიცაა დასაქმების მიმართულებით, საერთაშორისო კონფერენციები, ინარჩუნებს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში 150-მდე პროფესორ-მასწავლებელი გადამზადდა სან დიეგოში, კალიფორნიაში, დაწესებულების მთავარ კამპუსში. 3500 კვ.მ-მდე ფართი პარტნიორ უნივერსიტეტებში გარემონტდა და სრულიად აღუჭურვა, კერძოდ ლაბორატორიებით, ასევე 4000 კვ.მ შენობა აშენდა სან დიეგოს უნივერსიტეტის დახმარებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსზე, შემდეგ ის სრულად გარემონტდა და ლაბორატორიებით სრულად აღიჭურვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 12:43
დასრულების დრო: 13:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 5 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული განაცხადის/დოკუმენტაცის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების

საფუძველზე, ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების პირველი მუხლის 1^1 და 1^3 -პუნქტების და ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 17 აგვისტოს.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან (№428265, 14/04/2026) დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს სერგო ჭელიძემ, ნინო მინდიაშვილმა, ზურაბ ქავთარიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

"საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ცენტრის წარმომადგენლის, ქეთევან პავლიაშვილის განმარტებით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 14 აპრილს შემოვიდა ქასიმ ჰუსეინის №428265 განცხადება, რომელიც ეხებოდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ უცხოელი სტუდენტებისთვის გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხს. თავდაპირველად განცხადება ეხებოდა 9 საერთაშორისო სტუდენტს. განმცხადებლის განმარტებით, სტუდენტებმა სწავლის საფასური წინასწარ გადაიხადეს, თუმცა საიმიგრაციო, სავიზო, სამოგზაურო და გეოპოლიტიკური გარემოებების გამო საქართველოში ჩამოსვლა და სწავლის დაწყება ვერ შეძლეს. განხილვის პროცესში დადგინდა, რომ ორ სტუდენტს თანხა დაუბრუნდა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი 7 სტუდენტის მოთხოვნა კვლავ სადავო იყო.

ცენტრმა საკითხის შესწავლის მიზნით უნივერსიტეტისგან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. უნივერსიტეტის განმარტებით, დარჩენილმა სტუდენტებმა თანხის დაბრუნებისთვის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია სრულად არ წარმოადგინეს, მათ შორის ვიზის გაცემაზე ან საქართველოს საზღვარზე შესვლაზე უარის დამადასტურებელი დოკუმენტები.
სტუდენტების წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ სწავლის დაწყების შეუძლებლობა გამოწვეული იყო მათგან დამოუკიდებელი, მათ შორის ფორს-მაჟორული გარემოებებით, და ითხოვდა თანხის დაბრუნების საკითხის ხელახალ განხილვას.
საქმის შესწავლის შედეგად ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ დადგინდა. შესაბამისად, ცენტრი აყენებს შუამდგომლობას, აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.
სხდომის თავმჯდომარეს ვასილ გონაშვილს აინტერესებდა ცენტრს თუ ჰქონდა ხელშეკრულება დეტალურად შესწავლილი და ხელშეკრულებაში თუ ეწერა პროცედურა დეტალურად.
ქეთევან პავლიაშვილის განმარტებით, დაწესებულებას დებულება გაზიარებული აქვს ლინკის სახით, თუ როგორ ხდება თანხის დაბრუნების პროცედურა უნივერსიტეტში. დაწესებულებას აქვს შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი, რაზეც მიუთითებს უნივერსიტეტი, რომ აღნიშნული დოკუმენტები 7 სტუდენტს სრულად წარმოდგენილი არ ჰქონდათ, განსხვავებით ორი სტუდენტისა, რომლებთაც უკვე დაუბრუნდათ თანხა.
ქეთევან ინანაშვილის განმარტებით, ეს პროცედურა უკავშირდება დაწესებულების მხრიდან გარკვეულ დედლაინებს. აღნიშნული დედლაინები არის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც, შესაბამისად სტუდენტებიც ინფორმირებულნი იყვნენ, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მიმოწერებშიც ჩანდა. ქალბატონმა ქეთიმ აღნიშნა, რომ თანხის დაბრუნების საკითხი უკავშირდება სტუდენტის სტატუსს, კერძოდ, სტუდენტს სტატუსი შეწყვეტილი აქვს თუ შეჩერებული; თუ შეჩერებული აქვს შეუძლია როცა აღიდგენს სტატუსს შემდეგ გამოიყენოს აღნიშნული თანხა, ხოლო თუკი სტატუსი შეწყვეტილი აქვს, მაშინ ის პროცედურა დედლაინების ფარგლებში განსაზღვრავს თანხის დაბრუნების საკითხებს.
ვასილ გონაშვილი დაინტერესდა ეს ყველაფერი სტუდენტს ეწერა თუ არა ხელშეკრულებაში, თუ უნივერსიტეტს აქვს გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ცალკე აქვს გამოქვეყნებული.
ცენტრის წარმომადგენლების განცხადებით, ხელშეკრულების ნიმუში დაწესებულებას არ წარმოუდგენია.
ვასილ გონაშვილის განმარტებით, თუ აღნიშნული ხელშეკრულებაში ბუნდოვანია, სჯობს ზოგადი სტანდარტები რაც დაწესებულებას აქვს, სჯობს გადაიტანონ ხელშეკრულებაში. რადგან, როდესაც სტუდენტი ხელშეკრულებას ხელს აწერს, მას აქვს მხოლოდ ეს ხელშეკრულება, მას სხვა დოკუმენტაციაზე იმ პერიოდში ხელი არ მიუწვდება.
ქეთევან პავლიაშვილის განმარტებით, თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები სტუდენტებს დამატებით ეცნობათ ცენტრი მიერაც, რა შემთხვევში ხდება თანხის დაბრუნება, ინფორმირებული იყო ადვოკატიც რა დოკუმენტაცია უნდა წარედგინათ სტუდენტებს. მისი განმარტებით, დაწესებულებას უარი არ განუცხადებია თანხის დაბრუნებაზე. სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში თანხა არ ბრუნდება, თუმცა სტატუსის შეჩერების შემთხვევაში თანხა ინახება და როცა სწავლა დაიწყება, შენახული თანხიდან მოხდება საფასურის გადახდა.
ვასილ გონაშვილის განმარტებით, ცენტრის აქტიური და ეფექტური მუშაობის შედეგია, რომ სტუდენტებს თანხები უკან უბრუნდებათ. მან აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება ხელშეკრულებაშივე დააზუსტებს პირობებს, ცენტრს აღნიშნული განცხადებების მსგავსი აღარ შეუვიდოდათ.
ქეთევან ინანაშვილის განმარტებით, საბჭოს შეუძლია რჩევა მისცეს ცენტრს, რომ მათ ყურადღება გაამახვილონ სტუდენტსა და დაეწსებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე და ასევე შესაძლებელია დაწესებულებას მიეცეს რჩევა, რომ იმ შემთხვევში

თუ ხელშეკრულებაში არ არის ნათლად ეს უკანასკნელი საკითხი, სტუდენტი გადადიოდეს ლინკზე, სადაც დაწესებულებას საჯაროდ აქვს ეს ინფორმაცია, სადაც უფრო ნათლად იქნება ჩამოყალიბებული.
საბჭოს წევრის, რიმა ბერიაშვილის განმარტებით, ის შეფერხების მიზეზები, რომელიც ცენტრის წარმომადგენლებმა დაასახელეს, ეხებათ საქართველოში შემოსულ ყველა უცხოელ სტუდენტებს. მისი თქმით, ის ეთანხმება ვასილ გონაშვილს და ფიქრობს, რომ ხელშეკრულება შესაძლოა დაზუსტებას საჭიროებდეს. მან ახსენა რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლებსაც ბევრი უცხოელი სტუდენტი ჰყავთ, თუმცა მათ მსგავსი პრობლემა არ შეჰქმნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ კონტრაქტი გადაიხედოს.
საბჭოს წევრის, მარიამ ბოჭორიშვილის განმარტებით, ის ეთანხმება საბჭოს წევრების აღნიშვნას, რომ ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება ბერკეტი აღმოჩნდეს იმისა, რომ სტუდენტებმა აღარ მიმართონ ცენტრს საჩივრებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:23
დასრულების დრო: 13:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 14 აპრილის № 428265 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№428265, 14/04/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან (№427662, 14/04/2026) დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ, ნინო მინდიაშვილმა, ზურაბ ქავთარიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

"საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ცენტრის წარმომადგენლის, ქეთევან პავლიაშვილის განმარტებით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 14 აპრილს შემოვიდა ალი ჰუსნაინის (Ali Husnain) №427662 განცხადება, რომლითაც იგი მიუთითებდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ სწავლის საფასურის დაბრუნების ვალდებულების შესაძლო შეუსრულებლობაზე.
ცენტრმა საკითხის შესწავლის მიზნით უნივერსიტეტიდან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. უნივერსიტეტის განმარტებით, სტუდენტმა სწავლის საფასურის დაბრუნება მოითხოვა საქართველოში ჩამოსვლის შეუძლებლობის გამო, თუმცა თანხის დაბრუნებისთვის უნივერსიტეტის შიდა წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი. უნივერსიტეტმა ასევე მიუთითა, რომ სტუდენტს შეეძლო სტატუსის შეჩერება და გადახდილი საფასურის შენარჩუნება, თუმცა პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსი შეუწყდა.
განმცხადებლის დამატებითი მოსაზრებების განხილვის შემდეგ, უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ სტუდენტი ინფორმირებული იყო შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებისა და სწავლის საფასურის დაბრუნების პროცედურების შესახებ.
საქმის შესწავლის შედეგად ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ დადგინდა. შესაბამისად, ცენტრი აყენებს შუამდგომლობას, აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:29
დასრულების დრო: 13:30

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 14 აპრილის № 427662 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№427662, 14/04/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:30 სთ-ზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ბერეკაშვილი ბაქარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ეროვნული ცენტრი
ზუსტი ასლია
ელექტრონული